ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

აღვნიშნავთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გააჩნია ტექნიკური ხარვეზი, არარენტაბელურია მათი აღდგენა და მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მათი პრივატიზება.

გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ". განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი" ქვეპუნქტებთან, რომლის თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს და გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების სპეციალისტი - თენგიზ მეგრელიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი *მინდია ჟღერია*